„მინდა ძალიან წარმატებული საქართველო ვნახო“

თბილისში, სასტუმრო „ბეტსში“ საქართველოს რეგიონული მედიის წევრი მედიასაშუალებებისათვის საერთაშორისო ექსპერტმა აგროჟურნალისტიკის საკითხებში ჰეზერ როუს ბრიგსმა ტრენინგი გამართა. რეგიონის მედიასაშუალებებმა მას კითხვებით მიმართეს:

— უმთავრესი რჩევა ქართველი ფერმერებისთვის

— მე ვფიქრობ, რომ ფერმერებს აქვთ ძალიან დიდი შესაძლებლობა საქართველოში და მათ უნდა ისწავლონ დაგეგმვა თავიანთი საქმიანობის. მათ ძალიან დიდი მომავალი აქვთ. ფერმერები არიან ხერხემალი საქართველოს განვითარებისათვის.

— რა დაინახეთ ყველაზე პოზიტიური საქართველოში მეცხოველეობის დარგში?

— პირველი პოზიტივი და შთაბეჭდილება რაც საქართველოში მივიღე, არის „მერსი ქორფსის“ ალიანსების პროგრამა, - ვნახე, მაგალითად, როგორ აუმჯობესებთ ჯიშს და ვნახე ბუღები, რომლებიც სრულიად ადაპტირებულია ქართულ გარემოსთან. ამით კარგი შედეგიც დავინახე. ეს არის პოზიტიური. მოვიხიბლე იმ ნაბიჯებით, რომლითაც ეს პროგრამა ავითარებს მესაქონლეობას. მოხარული ვარ, რომ თქვენგან მოვისმინე ოზურგეთში მეცხოველეობაში მიმდინარე პოზიტიური შედეგები.

— აგრარული მდგომარეობის მიხედვით ევროკავშირის რომელ ქვეყანას შეადარებთ საქართველოს და რა პერსპექტივა არსებობს საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების თვალსაზრისით?

— ბევრმა ქვეყანამ, რომელიც შეუერთდა ევროკავშირს, შეასრულა ეს ვალდებულებები და ისინი მიუახლოვდნენ ამ მაღალ სტანდარტებს.

დიახ, რატომაც არა, - საქართველოც მიუხლოვდება სტანდარტებს. საქართველო გააკეთებს ამას და თქვენ უნდა იამაყოთ ამით.

არაჩვეულებრივი ქართველი სპეციალისტი გყავთ სურსათის უვნებლობის საკითხებში, ტრენერი ეკატერინე ბურკაძე, რომელიც ძალიან კარგი რესურსია ამისთვის. დიახ, საქართველო ევროკავშირის სტანდარტებთან მივა.

ბევრი ქვეყანაა, ვინც დღეს უკვე ევროკავშირშია, შევადარებდი საქართველოს.

ევროკავშირის მთავარი მახასიათებელი არის მრავალფეროვნება. ევროკავშირი ზეიმობს, აფასებს, პატივს სცემს თითოეული ქვეყნის მრავაფეროვან ტრადიციებს და მრავალფეროვნებას.

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №6 (10096), 9 თებერვალი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

„სამსახურში ვერ მივდივარ იმის შიშით, სახლში არ შემომივარდნენ და შვილიშვილი არ გამიუპატიურონ“

ალიონი. „აქ ისეთი სიტუაციაა, თითქმის ყოველ საღამოს პატრულის გამოძახება გვიხდება. წუხელაც შემოგვილეწეს მესამე სართულზე კარები, პატრულმა წაიყვანა სამივე, მთვრალები კი არა, გადამთვრალები იყვნენ. მოდიან, ლოთობენ და შეურაცხყოფას გვაყენებენ. ასეთი ხალხისგან ყველანაირი სიბინძურეა მოსალოდნელი. მოკლედ, სამსახურში ვერ მივდივარ იმის შიშით, რაიმე უბედურება არ დატრიალდეს, სახლში არ შემომივარდნენ და შვილიშვილი არ გამიუპატიურონ,“ — გვითხრა 55 წლის მა-ყვალა ბურკაძემ, რომელიც ამჟამად ოზურგეთის ყოფილი საავადმყოფოს შენობის მესამე სართულზე, ორ პატარა ოთახში ცხოვრობს 12 წლის შვილიშვილთან ერთად.

55 წლის ქალბატონი, სანამ ყოფილი საავადმყოფოს შენობაში გადმოვიდოდა, 15 წლის განმავლობაში ქირით ცხოვრობდა ქალაქის სხვადასხვა უბანში. ფაქტობრივად უმუშევარი შვილიშვილის დასაპურებელ და ბინის ქირის ფულს ძლივს უყრიდა თავს. დროებით თავშესაფარში გადმოსვლის შემდეგ, ქალაქის მერია, პირადად ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძე დაეხმარა დასაქმებაში, „ელეგანტში“ დაიწყო მუშაობა, ანაზღაურებითაც კმაყოფილია, მაგრამ, საავადმყოფოს ყოფილ შენობაში არსებული სიტუაცია არ აძლევს მშვიდად მუშაობის საშუალებას.

როცა ავუხსენით, რომ აქ 40-მდე ოჯახი ცხოვრობს და ხომ შეიძლება რომელიმე მეზობელს თხოვოთ, ყურადღება მიაქციოს ბავშვს, ასე გვიპასუხა:

„ტყუილია, არ დაიჯეროთ, აქ

გვ-3

ბეგლარ სიორიძე: „ შვიდი მილიონი ლარი ჩაიდო შემოქმედის წყალსაცავში, საიდანაც ქალაქს წყალი არ მიეწოდება “

5 თებერვალს, ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს სხდომა გაიმართა, სადაც ხელისუფლებაში მოსვლიდან 5 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ დეპუტატების წინაშე ანგარიშით ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძე წარსდგა. მან პასუხი გასცა დეპუტატებისა და ჟურნალისტების შეკითხვებს.

ალიონი. ქალაქის მერმა თავდაპირველად სამსახურების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსის დეტალებზე ისაუბრა, ხოლო შემდეგ ის სამუშაოები ჩამოთვალა, რომლებიც მერიამ განახორციელა საბავშვო ბაღებში, ჯანდაცვის სფეროში, ხანდაზმულების, სოციალურად დაუცველი ადამიანების, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპული მებრძოლების ოჯახების დასახმარებლად.

მან თავის გამოსვლაში დიდი ადგილი დაუთმო ზედამხედველობის სამსახურის მუშაობას:

—„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არ გახლავართ ქალაქის ის მერი, რომელიც თუნდაც რამდენიმე ხმის სანაცვლოდ თვალს რომ დახუჭავს შემხვედრ მანკიერებებზე. ჩვენ ბაზრის ტერიტორია მოვაწესრიგეთ გარე მოვაჭრეებისაგან. ჩვენ შევუქმნით ადამიანებს ნორმალურ სამუშაო პირობებს, ალტერნატიულ ფართს გამოვუნახავთ, ამის შემდეგ მივმართავთ იმ ზომებს, რომ ქალაქი დაემსგავსოს ქალაქს“

ბეგლარ სიორიძე ქალაქში ავტომანქანების პარკირების თემას შეეხო:

—„ეს საკითხი აწ. გარდაცვლილ ინდმეწარმე დავით კვაჭანტირაძის სამართალმემკვიდრეობის თემას ეხება. დღეის მდგომარეობით დაგროვილი დავალიანება გადანაწილებულია ყოველთვიურ შენატანზე და იფარება ზუსტად გრაფიკის მიხედვით. ზედამხედველობის სამსახური მონიტორინგს ახორციელებდა პარკირებისთვის გამოყოფილი ყველა ავტოსადგომის ექსპლუატაციაზე, რომლის მიხედვით გაფრთხილება მიეცათ სადგომების მოიჯარეებს.

გარდა ამისა სივრცითი მოწყობის, არქიტეტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის მიერ ექსპლუატაციაში მიღებულია 7 სამშენებლო ობიექტი, გაიცა სამი მშენებლობის ნებართვა, მოხდა სამი შეთანხმება. შესწავლილი იქნა გამხმარი და ხმობადი ხეები. ეს ხეები მოიჭრა და გამოვიყენებთ მშენებლობაში, დავეხმარებით მოქალაქეებს“.

ქალაქის მერმა ჩამოთვალა ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც 2015 წელს ქ. ოზურგეთში განხორციელდება:

სანიაღვრე არხების მოწყობა 2400 მეტრზე და ტროტუარების კეთილმოწყობა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე; 640 გრძივი მეტრი სანიაღვრე არხების მოწყობა გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე 6 მრავალსართულიანი სახლის სარდაფის დატბორვის ასაცილებლად; დამცავი ჯებირები მდინარე ბაზრისწყალზე და მდ. შვარაშკურაზე; სანიაღვრე არხების

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„მინდა ძალიან წარმატებული საქართველო ვნახო“

– მოკლედ ბრუცელოზის საფრთხისა და მისი გამოვლენის მეთოდებზე

– ბრუცელოზი არის საკმაოდ სერიოზული დაავადება და საქართველომ უფრო პროფესიონალურად უნდა დაიწყოს ამაზე ფიქრი. სისხლის სინჯები უნდა აიღოს, აღმოაჩინოს. მერე მონიტორინგი გაუწიოს და იმ საქონელს, რომელსაც აღმოაჩნდება ბრუცელოზი, უნდა უზრუნველყოს მისი დაკვლა.

თქვენ უნდა გახდეთ ბრუცელოზისგან თავისუფალი ქვეყანა. ძალიან ბევრი ქვეყანა გახდა ბრუცელოზისგან თავისუფალი იმიტომ, რომ სახელმწიფომ აიღო მთავარ სამიზნედ ბრუცელოზის დაავადებასთან ბრძოლა.

მოვისმინე თქვენი მინისტრისგან, რომ აპირებენ, ბრუცელოზი რომელი ფერმერის საქონელსაც აღმოაჩნდება, მას გადაუხადონ კომპენსაცია, მიეხმარონ დაკვლაში და ა. შ. ეს არის პოზიტიური ნაბიჯი, რაც მე მოვისმინე და ეს შეიძლება იყოს ძირითად საკითხად გამოტანილი სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან და ასევე ქვეყნის განვითარებისთვის. თქვენ უნდა გახდეთ ბრუცელოზისგან თავისუფალი ქვეყანა. ამას უფრო მეტი პროფესიონალური მიდგომა სჭირდება.

– რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველო ბრუცელოზისგან თავისუფალი ქვეყანა გახდეს?

– პირველ რიგში იმიტომ არის ბრუცელოზი საშიში და იმიტომ უნდა გახდეთ ბრუცელოზისგან თავისუფალი ქვეყანა, რომ პირდაპირ ვნებს ადამიანის ჯანმრთელობას. ბრუცელოზი არის საზიზღარი, საშინელი დაავადება, რომელსაც მკურნალობენ, მაგრამ არ იკურნება.

მომხმარებელს აქვს უფლება, მიიღოს უვნებელი და კარგი ხარისხის პროდუქტი.

– პირუტყვის სადგომის სწორად მოწყობის აუცილებლობას რა მნიშვნელობა აქვს?

– ჩემს ქვეყანაში ბოსლების მოწყობა არის ძალიან მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით, - ზამთარში. სანამ ააშენებთ, უნდა ჰკითხოთ ვეტერინარს, როგორ ააშენოთ. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიაქციოთ ვენტილაციას. არ უნდა იყოს ძალიან სიცივე, არ უნდა იყოს ზედმეტი სითბო. უნდა იყოს კომფორტული და უნდა იყოს ადგილი ამ ძროხის სადგომში.

ჩვენ გვყავს პროფესიონალები ამ სფეროში, ვინც გეგმავენ ძროხების სადგომებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ არ შეგიძლიათ ეს გააკეთოთ. დაგეგმეთ, ჰკითხეთ ვეტერინარს და თქვენც შეგიძლიათ გააკეთოთ, მოაწყოთ შესაბამისი სადგომები. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ მეტი პროდუქტიც მივიღოთ და სუფთა პროდუქტიც.

– როგორ აფასებთ საქართველოში კოოპერატივების დანერგვას და რა სიკეთე შეიძლება მოუტანოს ასეთმა გაერთიანებებმა საქართველოს?

– გირჩევთ, რომ გამოიყენოთ სიტყვა „გუნდი“, „გუნდური მუშაობა,“ „ფერმების გაერთიანება.“ ადამიანები, რომლებიც ახლოს მუშაობენ ერთმანეთთან და არა ცალცალკე.

მოდი, ვიმუშაოთ ერთად.

მოდი, ერთად ვიმუშაოთ აგროჟურნალისტებმა, პოლიტიკოსებმა, ფერმერებმა.

ფერმერში მე ვგულისხმობ ყველა მწარმოებელს, – იქნება ის მცირე თუ მსხვილი.

– როგორი შთაბეჭდილებებით მიდიხართ საქართველოდან? აქვს თუ არა მომავალი აგროჟურნალისტიკას ჩვენთან?

– მინდა, რომ თქვენ იამაყოთ საქართველოთი და მარტო კი არ უნდა იამაყოთ, ძალიან იამაყოთ იმიტომ, რომ თქვენ გაქვთ დიდი მომავალი; გაქვთ ძალიან კარგი მიწა, - გამოუყენებელი და ამ ყველაფერს ჭირდება მეტი ორგანიზება. აგროჟურნალისტიკას დიდი მომავალი აქვს საქართველოში.

დაიმახსოვრეთ, რომ თქვენ ხართ განსხვავებული, ჟურნალისტიკის სხვა მიმართულებებისგან. აგროჟურნალისტიკა არის ძალიან განსხვავებული. თქვენ გადასცემთ ცოდნას, ინფორმაციას, რომელიც მწარმოებელს ეხმარება, გაზარდოს საკუთარი ბიზნესი და წარმოება.

– ქართული სამზარეულოდან რამ მოგხიბლათ?

– მშვენიერი ღვინო გაქვთ. წავიკითხე ანგარიშში, რომ მექსიკაში ძალიან პოპულარული ხდება ქართული ღვინო.

მიყვარს ღვინო და ვისურვებდი, რომ როდესაც ინგლისში შევალ ერთ-ერთ მაღაზიაში, მქონდეს არჩევანი, - ვიყიდო ესპანური, იტალიური თუ ქართული ღვინო.

ან ვიყიდო ქართული ყველი, - რატომაც არა. იამაყეთ.

– როგორ განავითარეთ აგროჟურნალისტიკა ინგლისში?

-გარდა იმისა, რომ ჩვენ, - ჟურნალისტებმა თვითონ სოფლის მეურნეობა შევისწავლეთ, ასევე შევისწავლეთ ამ სოფლის მეურნეობაზე როგორ ვწეროთ და ეს იმდენად მნიშვნელოვანია, - ახალი ამბავი მოაქციოთ თავში.

მკითხველს ვიზიდავთ. მათ უნდათ, რომ წაიკითხონ და უნდა წავაკითხოთ. მათ უნდა შთავაგონოთ, რომ წაიკითხონ ამ თემაზე.

P.S.. „**HASSP**“-ის სტანდარტებზე გადასვლა ბევრ მუშაობას მოითხოვს ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისაგან, დარგობრივი აიპებისგან, სურსათის უვნებობის სამსახურებიდან და ფერმერებისაგან. გვინდოდა ამ თემაზე ინფორმაცია მიგვეღო სურსათის უვნებლობის სამსახურიდან, მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესსამსახურისკენ გადაგვამისამართეს.

ჩვენ გაგებით ვეკიდებით ამ სამსახურის თხოვნას და იმედია, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია შეასრულებს რეგიონული მედიის ჟურნალისტებისათვის მიცემულ სიტყვას და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებს უფრო გამჭირვალეს გახდის.

ბეგლარ სიორიძე: „ შვიდი მილიონი ლარი ჩაიდო შემოქმედის წყალსაცავში, საიდანაც ქალაქს წყალი არ მიეწოდება “

მოწყობა გურიის, იმედაშვილის და წმ. გიორგის ქუჩებზე; დასრულდება წმ. გიორგის ქუჩის ასფალტირება;

„საქგზამეცნიერება“ ამზადებს პროექტს მდ.ბჟუჟის სანაპიროზე 900 მეტრი ჯებირის მოსაწყობად, რომლის შემდეგ აღდგება ხეივანი და სატვირთო მოძრაობა გადაინაცვლებს სანაპიროზე.

ექსპლუატაციაში შევიდა №2 საბავშვო ბაღი და სრულდება სამუშაოები №6 საბავშვო ბაღის ექსპლუატაციაში შესასვლელად; გადაიხურება 3 საცხოვრებელი კორპუსი; 2 კორპუსის ფასადი შეიცვლება; 275 ათასი ლარია გამოყოფილი ყოფილი სამშობიარო სახლის კეთილმოსაწყობად, რომელიც ქ. ოზურგეთის მაცხოვრებელ უსახლკარო მოქალაქეებს გადაეცემათ.

გაიხსნა სალოტბარო სკოლა, აღდგება კინოთეატრი, რომელიც ეკონომიკის სამინისტრომ უნდა გადასცეს ქალაქის მერიას.

წელს მერიას სტიქიისაგან დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად 75 ათასი ლარი აქვს გამოყოფილი.

გარდა ამისა „წყალკანალი“ ახორციელებს წყლის მილების შეცვლის სამუშაოებს, რაზედაც 3,3 მილიონი ლარია გამოყოფილი.

– შვიდი მილიონი ლარი ჩაიდო შემოქმედის წყალსაცავში, საიდანაც ქალაქს წყალი არ მიეწოდება. ექადიის წყალსადენს ვამუშავებთ და იქიდან ვაწვდით მოსახლეობას წყალს.

დეპუტატი **ლავრენტი ბიგვავა** ანასეულის დასახლების წყალმომარაგების პრობლემას შეეხო:

–ჯერ-ჯერობით არ გვაქვს ქალაქის გრძელვადიანი განვითარების გეგმა, როგორ უნდა გადაიჭრას ლიხაური-ანასეულის წყალსადენის რეაბილიტაციის საკითხი? -ეს დიდი პროექტია. მილიონზე გაცილებით მეტი თანხა იქნება საჭირო, ანასეულს უნდა მიწოდოს სასმელად ვარგისი წყალი.

დეპუტატი ნანული ორაგველიძე მიიჩნევს, რომ უნდა ხდებოდეს წყლის მონიტორინგი სკოლებსა და ბაღებში.

ნანული ორაგველიძე:- რეგიონში ყოველწლიურად მოსახლეობა -3%-ით იკლებს. იმის გამო, რომ ოზურგეთში აღარაა უმაღლესი სასწავლებლები სხვა ქალაქებში სწავლამიღებული ახალგაზრდები მშობლიურ ქალაქში არ ბრუნდებიან, არ ხდება კონკურსებით ადამიანების დასაქმება, არ იქმნება ახალი სამუშაო ადგილები...

ბეგლარ სიორიძე:–ჩვენ ვქმნით ახალ სამუშაო ადგილებს. შპს „გეოპლანტი“ (მიხეილ ჭკუასელი) ახალ ჩაის ფაბრიკას აშენებს, ქ. ოზურგეთში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე, ყოფილი №1 ჩაის ფაბრიის ტერიტორიაზე, სადაც 150 ადამიანი დასაქმდება; 200 კაცი დასაქმდება გურამიშვილის ქუჩაზე თხილის ქარხანაში; გოჩა ჩხაიძე ანასეულში ხილის გადამამუშავებელ საწარმოს აშენებს, სადაც გარდა გარდა საწარმოსა ათეულობით დამამზადებელი დასაქმდება; „ნიკორას“ დამფუძნებელი გელა არობელიძე ოზურგეთში „ნიკორას“ სუპერმარკეტის აშენებას აპირებს; კიდევ ერთი ჩაის ფაბრიკა კეთდება ქალაქთან ახლოს, სოფ. გურიანთაში.

ლევან მგელაძე: – გამოვაქვეყნოთ მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეთა მიღებული ქულები

ნათია შარაშენიძე:–ადამიანებს აქვთ განცდა, რომ კონკურსში დაიჩაგრნენ...

ბეგლარ სიორიძე:–200 ადამიანი მყავს უკმაყოფილო ომის გამო, რომ ვერ დავასაქმე მერიაში ან აიპში. თქვენ რატომ არ მიიღეთ მონაწილეობა კომისიის მუშაობაში? მე სავარძელი არ მაქვს ამოკრული და შემიძლია აქედან არ წავიდე ჩემს კაბინეტში და დავუბრუნდე ბიზნესს...

გოჩა ძიმისტარიშვილი:– რატომ ფინანსდებიან ის ორგანიზაციები, რომლებიც არ შედიან მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში. მხედველობაში მაქვს დღის ცენტრის „მზის სხივის“ დაფინანსება, რომელზეც ჩვენი მუნიციპალიტეტიდან 25 ათასი ლარი უნდა გაიცეს. ჩვენ არ ვიცით როგორია მისი ბიუჯეტი, ვინ აფინანსებს მას.

ნათია შარაშენიძე: –ყველა სამუშაო უნდა სრულდებოდეს ტენდერით.

ირინა საჯაია – უნდა წარმოადგინოს ბიუჯეტი

ბეგლარ სიორიძე:– ბიუჯეტი წარმოადგინა და სავარაუდოდ 17-18 ათასი ლარით დახმარება იქნება საკმარისი. პრობლემები აქვს საბავშვო დაწესებულებებს, ზოგან წყალი ჩამოდის და ახლა ვეძებთ სამშენებლო ორგანიზაციებს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულონ.

საბოლოოდ დეპუტატების უმრავლესობამ ქალაქის მერის მიერ გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასა.

ნიუსები საკრებულოს სხდომაზე განხილული საკითხების შესახებ

თემურ მარშანიშვილი

4 თებერვალს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე გამოტანილი 19 საკითხი წინა დღით შეკრებილ „დარბაზს“ გააცნეს, ორიც დღის წესრიგში სხდომის დაწყებისას შეიტანეს. სხდომა 11 საათსა და 20 წუთზე, ანუ 20 წუთის დაგვიანებით დაიწყო და სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა.

შიდამუხლობრივი გადანაცვლებები 2015 წლის ბიუჯეტში

სხდომამ ცვლილებები შეიტანა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

როგორც ითქვა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ნაშთი სპეცანგარიშზე 1 იანვრის მდგომარეობით, შეადგენს 7 950 ლარს. დაადგინეს აღნიშნული ვალდებულება გადანაწილდეს ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრზე.

შემცირდეს: დასუფთავების ღონისძიების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 03 03 01) – 390,0 ათასი ლარით; სპორტული ობიექტების დაფინანსების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 05 01 02) – 105,0 ათასი ლარით; ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 05 03) – 25,0 ათასი ლარით; ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 05 04) – 15,0 ათასი ლარით; ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მუხლში (ორგანიზაციული კოდი 02 03) პრემირების (2.1.1.1.3) ხარჯები – 6,0 ათასი ლარით; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაფინანსურ აქტივებში მაღალი განმავლობის მსუბუქი ავტომანქანის შეძენის ხარჯები (61.1.2.1.2) – 40,0 ათასი ლარით;

გაიზარდოს: ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრის ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 03 06) – 7950 ლარით; კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები (03 02 03) – 390,0 ათასი ლარით და შეიცვალოს დასახელება ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრით“; კულტურის ობიექტების დაფინანსების ხარჯები (05 02 02) – 145,0 ათასი ლარით; გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამის ხარჯები (03 01 01) – 40,0 ათასი ლარით; ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მუხლში (02 03): ა) ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები (2.2.3.3) – 05 ათასი ლარით; ბ) ტრანსპორტის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯები (2.28.3) – 2,0 ათასი ლარით; გ) არაფინანსურ აქტივებში სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (61.1.2-.2.20) – 2,5 ათასი ლარით; დ) ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯები (2.2.-8.4) – 1,0 ათასი ლარით.

სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების ახალი წესი

სხდომამ დაამტკიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი.

გათვალისწინებულია შემდეგი სახის ფულადი სოციალური დახმარების პროგრამები: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა; ომის ვეტერანთა დახმარების პროგრამა; მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა; იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დახმარების პროგრამა; სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა; ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა; უსინათლოთა დახმარების პროგრამა; თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა; დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა.

არაფულადი სოციალური დახმარების სახეები კი ასე გამოიყურება: შშმ პირთა დახმარების პროგრამა; სოციალურად დაუცველ ბავშვთა დახმარების პროგრამა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის



2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი სრულყოფილად გამოქვეყნებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე **ozurgeti.-org.ge.**

საკრებულოს აპარატი სამი საშტატო ერთეულით გაიზარდა

ცვლილებები და დამატებებია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ოქტომბრის №67 განკარგულებაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს დაემატა სამი საშტატო ერთეული: წამყვანი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების საკითხებში; სპეციალისტი – ორი ერთეული, შესაბამისი თანამდებობრივი რანგირების გათვალისწინებით.

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების საშტატო ერთეული – „საოქმო მომსახურების საკითხებში წამყვანი სპეციალისტი“ შეიცვალა „საოქმო მომსახურების საკითხებში მთავარ სპეციალისტად“ შესაბამისი თანამდებობრივი რანგირების გათვალისწინებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხები

მიიღეს დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიების დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ.

ცვლილებები და დამატებები შეიტანეს 2015 წლის 19 ნოემბრის № 86 განკარგულებაში „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცების შესახებ“ და 15 ოქტომბრის №69 განკარგულებაში „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

თანხმობა მისცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას სოფელ ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციული შენობის 250 კვ მეტრი ფართობის უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გამოყოფის თაობაზე.

სხდომამ მიიღო გადაწყვეტილებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზებისათვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების – გერბისა და დროშის შემუშავების მიზნით, კონკურსის წესის დამტკიცებისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ.

მოისმინა მუნიციპალიტეტის გამგებლის მერაბ ჭანყვაძის ანგარიში მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

განიხილა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები.

მოისმინა და მოიწონა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო; განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა; აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების; სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიების ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ.

ბილეთი და ბიჯი – წინ გადადგმული ნაბიჯი მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისათვის

შესაბამისი კანონებისა და დადგენილებების გათვალისწინებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა: მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

„სამსახურში ვერ მივდივარ იმის შიშით, სახლში არ შემომივარდნენ და შვილიშვილი არ გამიუპატიურონ“

ახლა ჰა-ჰა 10 ოჯახი თუ ცხოვრობს. დანარჩენებს გამოკეტილი აქვთ თავიანთი ოთახები, კარტოფილის თესვის სეზონიაო და თავიანთ სოფლებში არიან წასულები. გაქურდეს ყველაფერი. ყველა მეზობელთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ასეთ სიტუაციაში რომელი ერთი დაიტოვებს ყოველთვის ბავშვს, უბრალოდ, ვერ ინდობენ“.

როგორც თვითონ ამბობს, იმ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნება, ვისაც ცხოვრებაში არ გაუმართლა. ობლობაში გაიზარდა, გათხოვებისა და მეუღლესთან განშორების შემდეგ, ორი ვაჟი დარჩა. ერთი ამჟამად იმერეთშია და დედის ბედი სულაც არ ანაღვლებს; მეორე კი, შავლეგ ბურკაძე – პატიმარია, სასამართლომ 5 თებერვალს 5 წელი მიუსაჯა, ნატანებიდან წამოყვანილი ტაქსიდან მძღოლის გადაგდების გამო. მანამდე თურქეთში დადიოდა. შვილიშვილი, რომელსაც ბებია ზრდის, სწორედ შავლეგის შვილია პირველი ცოლიდან. მშობლები საერთოდ არ წუხან შვილის ბედზე. ყოფილი რძალი გათხოვდა, მესამედაც გათხოვდა... შავლეგმაც სხვა ქალი შეირთო. მას ამ ბავშვზე მამობის უფლება ჩამორთმეული აქვს. ქალბატონი მაყვალა ბავშვის დედას დაუკავშირდა და თხოვა, დაეწერა, რომ თანახმაა, ბებია იყოს შვილიშვილის მზრუნველი. იმედი აქვს, რომ დათანხმებს.

ემადლიერება ქალაქის მერის მოადგილეს კობა დუნდუასა და IV საჯარო სკოლის დირექტორს ტარიელ კალანდაძეს:

„ბატონი კობა რამდენიმე დღის წინ იყო, ტანსაცმელი მოუტანა ბავშვს, ბატონი ტარიელი კი ის ღვთისნიერი კაცია, რომელიც ყოველდღიურად ზრუნავს თავის მოსწავლეზე. რა დამავიწყებს, ფქვილიც რომ აღარ გვქონდა, პურის გამოსაცხობად, საკუთარი ჯიბიდან 50 ლარი მოგვცა და მისგან რამდენი მსგავსი სიკეთე გავიხსენო“.

ქალბატონი მაყვალა საკმაოდ ძლიერი პიროვნება ჩანს, დეპრესიაში ადვილად არ ჩავარდება, თუმცა შიშობს, რომ ძალიან გაუჭირდება. თუ სოციალური სააგენტო არ დაეხმარება:

„არ ვარ ის ადამიანი, ვინც თანამდებობის პირების კაბინეტებთან ათენ-აღამებენ. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობა შელახული მაქვს, ჯერ კიდევ შემიძლია ვიშრომო, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდება, თუ სოციალური სააგენტო არ დაგვეხმარება. ჩემი თავი ჯანდაბას, ბავშვს რა ეშველება?!“

დოკუმენტაცია მხოლოდ ოცდასამმა ბენეფიციარმა წარმოადგინა

ალიონი. 3 თებერვალს შეიკრიბა ოზურგეთის ყოფილი საავადმყოფოს შენობაში თვითნებურად შესახლებულ ბენეფიციართა აღრიცხვისა და მათი სამართლებრივი სტატუსის შემსწავლელი კომისია, კომისიის თავმჯდომარის კობა დუნდუას ხელმძღვანელობით.

წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ბენეფიციარებმა ქალაქის მერიაში 15 თებერვლამდე უნდა წარმოადგინონ უძრავ-მოძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტი. 3 თებერვლის მდგომარეობით, დოკუმენტაცია 40-მდე ბენეფიციარიდან მხოლოდ 23 ბენეფიციარმა წარმოადგინა.

დოკუმენტების წარმოდგენის ვადის ამოწურვისთანავე კომისია საცხოვრებელ ფართს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული ქულების რაოდენობისა და სულადობის მიხედვით გაანაწილებს.

საკრებულოს სხდომის მოკლე სტატისტიკა

ალიონი. 5 თებერვალს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე 19 საკითხი განიხილებოდა. პირველი საკითხი მერის ანგარიში გახლდათ, მან ამომწურავად ისაუბრა 2014 წელს შესრულებულ სამუშაოებზე. მერმა საკრებულოს წევრებისა და ჟურნალისტების შეკითხვებსაც უპასუხა. დამსწრე საზოგადოებამ მერის ანგარიში დადებითად შეაფასა.

წარმოდგენილი 19 საკითხიდან 10 დამტკიცდა, 4 საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო, 2 საკითხი ცნობის სახით იქნა მიღებული, ხოლო 2 საკითხზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას თანხმობა მიეცა.

რეზო ვაშალომიძის მრავალსულიანი ოჯახის გამოსახლების საკითხი გადაიდო

ალიონი. ქ. ოზურგეთში, ლომთათიძის ქუჩა 28-ში მცხოვრები, რეზო ვაშალომიძის მრავალსულიანი ოჯახის გამოსახლების საკითხი გარკვეული ვადით გადაიდო.

ვინაიდან ხსენებული ოჯახი სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანია, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და შუამდგომლობით, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გამოსახლების პროცედურები გარკვეული ვადით შეაჩერა. ამასთან დაკავშირებით 5 იანვარს ქ. ოზურგეთის მერიაში აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლების გამოჩენა კი სენსაციების მოყვარულებმა მერიაში საფინანსო პოლიციის შესვლად მონათლეს.

ქალაქის მერია მუშაობს უახლოეს პერიოდში ამ ოჯახისათვის ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის გამოძებნის საკითხზე.

როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, ვაშალომიძის გამოსახლებას საფუძვლად მეზობლის ვალის გადაუხდელობა დაედო. ოჯახს საცხოვრებელი ბინა 27 თებერვლისათვის უნდა დაეცალა.

პრესკონფერენცია

ჩემთვის გაუგებარია, რა საფრთხე შეექმნა თვითმმართველობის ფუნქციონირებას იმით, რომ გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე გამარტივებული შესყიდვით ფორსირებულად არ შეიძენდა მაღალი გამავლობის ავტომობილებს

2014 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულება №135-ის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ფიზიკურ პირ ნინო ნადარეიშვილისგან შეისყიდა ავტოსანტრასპორტო საშუალება **TOYOTA FJ CRUISER** მუნიციპალიტეტმა ასევე, გამარტივებული შესყდვების საშუალებით 2014 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების 139-ის საფუძველზე ინდმეწარმე ფრიდონ ირემაშვილისგან შეიძინა „ლექსუსის“ მარკის ავტოსანტრასპორტო საშუალება.

პირველ შემთხვევაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ავტომობილის შესაძენად ბიუჯეტიდან გადარიცხა 43 700 ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში – 40 000 ლარი. აღნიშნული შესყიდვა იძლევა გონივრული ეჭვის საფუძველს, რომ სახეზეა კორუფციული გარიგების ნიშნები. ვინაიდან არ არსებობს კანონიერი საფუძველი, რომელიც გამგებელს მისცემდა ავტომობილის შესყიდვა განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე. რადგან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე– 101 მუხლის მესამე პუნქტის ბ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა. ხოლო სამართლებრივად გადაუდებელი აუცილებლობა არის ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას, ან შეზღუდოს საწარმოს ქმედუნარიანობას.

ამდენად, ჩემთვის გაუგებარია, რა საფრთხე შეექმნა თვითმმართველობის ფუნქციონირებას იმით, რომ გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე გამარტივებული შესყიდვით ფორსირებულად არ შეიძენდა მაღალი გამავლობის ავტომობილებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით მივმართავ შესაბამის ორგანოებს, დაინტერესდნენ რამდენად არსებობდა შესყიდვის გამარტივებულად განხორციელების პირობები და შესყიდული ტრანსპორტის ღირებულება რამდენად შეესაბამება მის რეალურ საბაზრო ფასს.

დავით მჭავანაძე,

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის ორგანიზაციის წარმომადგენელი

პენსია - მხოლოდ ფულის კუპიურის დათვალიერებისათვის?

ქვეყანაში შექმნილი რთული სიტუაციების გამო სადღეისოდ პენსიონერები განიცდიან ეკონომიკურ, სოციალურ, მორალურ და ზოგჯერ ფიზიკურ ტკივილსაც კი. მათ არა აქვთ დამსახურების შესაბამისი დასვენებისა და გართობის საშუალება. რაც შეეხება წლებს, მის მატებას მოაქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფაქტორები. კერძოდ, წლების სიმრავლეს მოაქვს ჭაღარა, ჯანმრთელობის გაუარესება, მაგრამ წლები გვაჯილდოებს გამოცდილებით, ცოდნით, თვითდაჯერებულობით.

ადამიანი საერთოდ ხასიათდება ძირითადად სამი თვისებით: თავდაცვისუნარიანობით, გამრავლებითა და არსებობისთვის ბრძოლის უნარით. პირველი ორი, წლების მატებასთან ერთად სუსტდება, ხოლო ბრძოლა არსებობისათვის ძლიერდება.

ამერიკელმა სოციოლოგებმა ჩაატარეს კვლევა, თუ რა არის ადამიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი: სიყვარული, ჯანმრთელობა, ოჯახის არქონა, უმუშევრობა თუ სხვა რამ. ყველაზე დიდი ხვედრითი წილი კვლევების შედეგებში დაიკავა ადამიანის იგნორირებამ საზოგადოებისაგან, მისმა შეგრძნებამ, რომ ის საზოგადოებისათვის ზედმეტი ხდება.

ამ კვლევის შედეგები სპეციალურად მოვიყვანე, რომ ხელმძღვანელმა მუშაკებმა გაითვალისწინონ მომქმედ სპეციალისტთა (მეცნიერ მუშათა, ეკონომისტთა, ნიადაგმცოდნეთა) არსებობა.

საოცარ სინანულს იწვევს სადღეისოდ პენსიონერთა პენსიის ოდენობა –150 ლარი. ეს თანხა გამოდგება შექმნილი საარსებო კალათის ღირებულებასთან შედარებით, მხოლოდ ფულის კუპიურის ვიზუალური დათვალიერებისთვის. სექტემბრიდან პენსია იზრდება 10 ლარით. ეს ხომ პენსიონერთა ყოფა-ცხოვრების არაფრად ჩაგდებაა. მივყვეთ ამ ფრაზის დაზუსტებას ციფრობრივად.

ჩვენი გაანგარიშებით, დღეში ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის საჭიროა –6,5 ლარი. ეს არის აუცილებელი სასურსათო კალათა, რომელიც განისაზღვრება 2500 კ/კალორიით. მათი მოთხოვნების დასაკლამყოფილებლად ცილებზე, ცხიმებზე, ვიტამინებზე, ნახშირწყლებზე და სხვ. რომელიც თვეში შეადგენს 200 ლარს. (გაანგარიშება – გაკეთებულია ლარის გაუფასურებამდე, აშშ დოლართან შედარებით)

ამჟამად პენსიონერის საარსებო კალათა სულ მცირე –220-250 ლარია. თუ მას დაუმატეთ საკმაოდ გაზრდილ გადასახადებს გაზზე, ელექტროენერგიაზე, წყალზე, დასუფთავებაზე, მედიკამენტებზე – ეს მაჩვენებელი 270-280 ლარამდე იზრდება.

იბადება კითხვა: სად არის გამოსავალი? გამოსავალი ერთია, –შრომისუნარიან პენსიონერთა ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ჩაის მოვლა-მოყვანასა და კრეფაში.(სამი წლის განმავლობაში 1000 ჰექტარი ჩაის ფართობი უნდა აღდგეს).

ციტრუსოვანი კულტურების, კივის, ფეიხოას, მოცვის, თხილის, ხეხილის, მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანით უნდა შეივსოს პენსიონერთა 1000-ლარიანი კალათა სოფლად, ხოლო ქალაქად უნდა გაიხსნას წარმოებები. ეს ყოველივე, სიცოცხლის გადასარჩენად იძულებითი ფრაგმენტებია. სახელმწიფომ უნდა გამონახოს რეზერვი პენსიონერთათვის 300 ლარიანი პენსიის დასანიშნად. პენსიონერები ამას იმსახურებენ.

ეს საკითხი პირადად დავაყენე თბილისში, პენსიონერთა მე-4 ყრილობაზე მოხსენებით გამოსვლისას. ყრილობას 550 დეპუტატი ესწრებოდა, არაერთი სხვადასხვა ორდენის მფლობელი, აკადემიკოსი, პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, მნიშვნელოვან საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ნამუშევარი პირები, მთავრობის წარმომადგენლები.

იმედია, 750 000 კაციანი პენსიონერების დასაკმაყოფილებლად მთავრობა რეზერვს გამონახავს, რომ პენსიონერებმა ღირსეულად გააგრძელონ ცხოვრება და კიდევ ბევრი სასიკეთო საქმეები აკეთონ მომავალი თაობებისათვის.

გურამ ცერცვაძე,

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, რესპუბლიკური გამგეობის წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ხანძარი პეტრიწის ქუჩაზე

3 თებერვალს, დაახლოებით, 07:10 საათზე, ოზურგეთში, პეტრიწის ქუჩაზე, შენობაში, რომელშიც ადრე **VTB** ბანკი იყო განთავსებული, ხანძარი გაჩნდა. შემთხვევის ადგილზე დროულად იქნა მობილიზებული სახანძრო და სამაშველო სამსახურები, რომელთაც ხანძრის ლიკვიდაცია ოპერატიულად შეძლეს. ჯერჯერობით უცნობია შენობაში ცეცხლის გაჩენის მიზეზი შემთხვევის ადგილი და შენობა ქალაქის მერმა ბეგი სიორიძემ მოინახულა.

ხანძარი შემოქმედისა და მაკვანეთის საზღვარზე

3 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების – მაკვანეთის და შემოქმედის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე რამდენიმე საათის განმავლობაში ძლიერი ხანძარი მძვინვარებდა. ცეცხლი დაახლოებით ექვსი საათისთვის გაძლიერდა. ხანძრის ლიკვიდაციაში მონაწილეობდნენ, როგორც ოზურგეთის, ისე მეზობელი ქალაქების სახანძრო სამსახურები. დაიწვა ჰექტარზე მეტი ტყებუჩქნარი. როგორც ვარაუდობენ ცეცხლის გაჩენის მიზეზი საგაზაფხულო სამუშაოებს და ტერიტორიების დასუფთავებას უკავშირდება.

კვოტირების სისტემა და საქართველო

ავტორები: **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტები ლიკა ზაალიშვილი, სალომე ღლონტი**



განვითარებულ მსოფლიოში ადამიანის საყოველთაო უფლებები და ყველა სახის დისკრიმინაციის დაუშვებლობა საერთო თანხმობის საგანია. დღეს თითქმის აღარავინ დაობს იმის თაობაზე, რომ ადამიანები თანასწორნი არიან, მიუხედავად მათი კანის ფერისა, სქესისა, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა. თანამედროვე სამყარომ დიდი ხანია გააცნობიერა სქესის ნიშნით ადამიანთა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის დაუშვებლობა და აღიარა ქალისა და მამაკაცის თანასწორობა. საქართველოს მიერ ევროპული კურსის გამოცხადების პარალელურად გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების კუთხით, ქვეყანამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც ქვეყნის პარლამენტმა 2010 წლის 26 მარტს მიიღო.

სახელმწიფოს მიერ გატარებული გენდერული პოლიტიკის მიუხედავად, დღეს საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტში ქალი დეპუტატების რაოდენობა მხოლოდ 11%-ია. მთავრობის 19 მინისტრიდან მხოლოდ სამია ქალი. ასევე არასახარბიელოა ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებლებიც. ეს კი იმ პირობებში, როდესაც სტატისტიკის სამსახურის ცნობით 2013 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 52%-ს სწორედ ქალები შეადგენენ. როგორც ჩანს, საქართველოს პარლამენტსა თუ მთავრობაში ქალების რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის გენდერულ განაწილებას მნიშვნელოვნად არ შეესაბამება. მართალია სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ ქალთა რიცხვი დიდია, თუმცა მათი უმრავლესობა დაბალ თანამდებობრივ საფეხურებზეა წარმოდგენილი, მაშინ როდესაც გადაწყვეტილების მიმღები პოზიციების უმრავლესობა მამაკაცებს ეკუთვნით. მოხმობილი სტატისტიკიდან გამომდინარე გასაკვირი არცაა, რომ საკითხებზე, რომლებიც ქალებს აწუხებთ ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან ორგანოებში, პარლამენტსა თუ მთავრობაში, იშვიათად საუბრობენ. შედეგად კანონები, რომელსაც ხელისუფლება იღებს ქალებთან მიმართებაში, ხშირად დისკრიმინაციულია.

ისმის კითხვა, ვინ იცავს ქალების ინტერესებს ქართულ სახელმწიფოში?! როგორც ვიცით, ადამიანები სახელმწიფო ორგანოებს გადასცემენ საკუთარი უფლებების ნაწილს არჩევნების გზით, რათა გარანტირებული იყოს მათი სხვა უფლებები და თავისუფლებები. თუ დავაკვირდებით საქართველოს ხელისუფლებაში ქალთა ჩართულობას, აღმოვაჩენთ, რომ მათ წარმომადგენლები თითქმის არ ჰყავთ. როდესაც მართულთა უმრავლესობა ქალია და მმართველები მხოლოდ მამაკაცები არიან, ეს თავისთავად წარმოშობს უსამართლობის განცდას.

დღეს ცივილიზებულმა სამყარომ კარგად გააცნობიერა ქალთა ყოფნის აუცილებლობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე და მათი პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად მონაწილეობის საჭიროება. თანამედროვე მსოფლიოში და მით უფრო ევროპის კონტინენტზე არსებობენ სახელმწიფოები, რომლებმაც საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეს გენდერული თანასწორობის და უფრო კონკრეტულად ქალების პოლიტიკაში ჩართვის კუთხით. დღესდღეობით, როგორც ამ ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს ქალთა გააქტიურებისთვის ყველაზე ეფექტური მექანიზმი კვოტირების სისტემაა.

კვოტირების იდეა მოიაზრებს ქალების დაცვას პოლიტიკური იზოლაციისგან. იგი ეფექტური საშუალებაა გენდერული თანასწორობის მისაღწევად. რადგან ქალთა ჩართვა სახელმწიფოს მმართველ სტრუქტურებში მრავალ ბარიერთანაა დაკავშირებული, კვოტირება, როგორც იძულებითი ზომა, ამ ბარიერის გადალახვას ემსახურება. პოლიტიკაში გენდერული კვოტირების აუცილებლობას განაპირობებს სქესთა შორის შესაძლებლობების არათანაბარი გადანაწილება. აღნიშნული სისტემის დანერგვის შედეგად ქალებს საშუალება ეძლევათ გავლენა მოახდინონ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებასა და განხორციელებაზე.

კვოტირების სისტემის ეფექტურობის კარგი მაგალითია ნორვეგია, რომელიც ლიდერია მსოფლიოში გენდერული თანასწორობის კუთხით. ნორვეგიის ლეიბორისტულმა პარტიამ, ჯერ კიდევ, 1983 წელს ქალებისთვის 40%-იანი კვოტა დააწესა და ეს მაჩვენებელი დღემდე შენარჩუნებულია. ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, ნორვეგიის სოციალურ-ეკონომიკური წარმატება სწორედ ქალთა პოლიტიკური აქტიურობის შედეგად მოხდა.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის ყველაზე ეფექტური საშუალება გენდერული კვოტირების სისტემაა. კარგი იქნება, თუ ევროკავშირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე საქართველო დააწესებს 30%-იან კვოტას სახელმწიფო სტრუქტურებში და ზოგადად, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად. ჩვენი აზრით, ქვეყანამ მაქსიმალურად ეფექტური ნაბიჯები უნდა გადადგას ამ მიზნის მისაღწევად. დაუშვებელია მხოლოდ ქალებს დავაკისროთ პოლიტიკური აქტიურობის ტვირთი. სახელმწიფომ, არასამთავრობო სექტორმა და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოებამ ყველა გზას უნდა მიმართოს ქალთა პოლიტიკური აქტიურობის მისაღწევად, რაც დემოკრატიის უმნიშვნელოანესი კონპონენტია.

ზნეობრივი ნორმების ფარდობითობის საკითხები

დასაწყისი იხ. ალიონი №5, 2015 წელი.

როგორც „ვეფხვისტყაოსნის“ მკითხველებმა იციან, როსტევან მეფე ტარიელის დასახმარებლად ავთანდილის წასვლის სასტიკი წინაღმდეგი იყო. ამის გამო ავთანდილი იძულებული გახდა, გაპარულიყო ტარიელის დასახმარებლად. მაგრამ ტარიელი გამოქვაბულში არ დახვდა, იგი მინდვრად გაჭრილიყო. ავთანდილი ტარიელის საძებრად წავიდა. სამი დღის ძებნის შემდეგ მან იპოვა დაბნედილი ტარიელი:

„რა ტარიელ დაინახა, განალამცა დაელრიჯა:

ახლოს მყოფი სიკვდილისა ჯდა და პირი დაებღნიჯა,

საყელონი გარდეხივნეს, თავი სრულად გაეგლიჯა

მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაებიჯა". (სტრ.868)

იქვე იყო ხმლით მოკლული ლომი, სისხლიანი ხმალი და ძირს დანარცხებული მკვდარი ვეფხვი. ავთანდილმა მოასულიერა ტარიელი. ერთმანეთი გადაკოცნეს. ტარიელმა ავთანდილს ასე უთხრა:

„ძმაო არ გიტყუვე, გიყავ, რაცა შემოგფიცე,

გნახე სულთა გაუყრელმან, ფიცი ასრე დავამტკიცე;

აწ დამეხსნენ, სიკვდილამდის ვიტირო და თავსა ვიცე.

მაგრა გვედრებ დამარხვასა, მხეცდა საჭმლად არ მივიცე“. (სტრ.873)

ასეთი პასუხი ავთანდილისთვის მოულოდნელი არ ყოფილა , რადგან მან პირველი შეხვედრისას უთხრა ავთანდილს :

„სხვად არას ვიაჯ ღმრთისაგან, ვარ სიკვდილისა მჯენები (სტრ.658, ტაეპი-4)

ავთანდილი შეეცადა გამოეყვანა ტარელი მდგომარეობიდან. მან ასე უთხრა ტარიელს:

„ყმამან უთხრა: „რაშიგან ხარ, შენ საქმესა რად იქმ ავსა?

ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილო არა სწვავსა?

ვის უქმნია შენი მსგავსი სხვასა კაცთა ნათესავსა ?

რად სატანას წაულიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა?“ (სტრ.874)

ავთანდილმა მრავალი ბრძნული სიტყვა უთხრა ტარიელს:

1) „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა.

თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსაა“. (875,3,4)

ამ სტროფის მე-4 ტაეპის აზრი ასეთია: დარდი კაცს ცუდის მეტს არაფერს მოუტანს:

2) *„მინდორს სტირ და მხეცდა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?*

ვისთვის ჰკვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ". (876,2,3)

3) *„არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიან?*

3) *ავთანდილმა ტარიელს ვარდთან საუბარიც გაახსენა, როცა ვარდს ჰკითხეს - ასეთი ტურფა რად ხარ ეკლიანიო, მან იპასუხა:*

„მან თქვა ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს იქმნების რაცა ძვირად,

ოდეს ტურფა გაიეფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად" (878,3,4.)

ამ სტროფისა აზრი ასეთია - სიკვდილისა და წარმატების მოპოვება სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამასვე ადასტურებს 879-ე სტროფის მე-2 ტაეპი:

„მაშა ლხინსა ვინ მოიმკის, პირველ ჭირთა უმუშაკო?“

სიკვდილს მონატრებული ტარიელი ამ ბრძნულმა სიტყვებმა ვერ გამოიყვანა მძიმე მდგომარეობიდან; იგი კვლავ სიკვდილს ნატრობდა:

„აწ მივსწურვივარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა“ (881,4)

ტარიელს იმიტომ ენატრებოდა სიკვდილი. რათა სიკვდილის შემდეგ ნესტანისა და მისი სული შეხვედროდნენ ერთმანეთს:

„ძუნ ერთმანერთნი კვლა ვნახეთ, კვლა რამე გავიხარენით;

მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით!“ (882,3,4)

ძალიან მძიმე იყო ტარიელის მდგომარეობა -თუ გინდ ას ბრძენს ერჩია მისთვის -სიკვდილს სიცოცხლე რომ სჯობდა, მას მაინც სიკვდილი ენატრებოდა:

„ჰკითხე ასთა ქმენგულისა, რაგინდ რა ვინ გივაზირო!"

ამ ტაეპის აზრი ასეთია: ას ბრძენს ჰკითხე, მათ რაც არ უნდა გირჩიონ, მაინც იგი გაკეთე, რაც გსურს.

როცა ავთანდილმა დაინახა ბრძნული სიტყვებით ტარიელი ვერ გამოიყვანა მძიმე მდგომარეობიდან, მან მიმართა ნაცად ხერხს: სიცრუის მეშვეობით ეშველა ტარიელისათვის. მან ასე უთხრა ტარიელს :

„ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი,

ერთხელ შეჯე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა მხდელი,

ნუთუ მაშინ მოვიქარვო სევდა ესე აწინდელი,

მე წავალ და შენ დაგავდებ, იქმნას შენი საქადელი!“ (სტრ,890)

ავთანდილს ტარიელის დატოვება არც უფიქრია, რაც კარგად ჩანს 891-ე სტროფიდან

„ეხვეწებოდა შეჯეო", აჯას ხვეწნითა არვებდა,

იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა“.

ტარიელი დაეთანხმა, შესხდნენ თავიანთ ცხენებზე და მინდვრისკენ წავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ტარიელს უკეთესობა დაეტყო:

„მინდორთავე წაიყვანა, ტანი მჭევრი აძვრევინა,

ხანი წარვლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა "(892,3,4).

ახლა ავთანდილს ტარიელის გამოქვაბულში დასაბრუნებლად სხვა ტყუილის შეთხზვა დასჭირდა. ჯერ მან ნესტანის ნაჩუქარ სამკლავეზე დაუწყო ტარიელს საუბარი, თუ როგორ აფასებდა იგი ამ საჩუქარს. ტარიელმა ასე უპასუხა:

„ესეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისა,

მჯობი ყოვლისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ხისა. (896,2,3)

ტარიელის ამ სიტყვაზე ავთანდილმა უპასუხა, თითქოს ოქროს სამკლავე უფრო მიაჩნია, ვიდრე ასმათი:

„სამხრე გაბია ოქროსა ოქრომჭედლისა დნობილი,

უასაკო და უსულო არ სიტყვიერი ცნობილი;

აღარად გინდა ასმათი, ნახე მართალი ბრჭობილი! —

პირველ, გლახ, მისი ნაჭვრეტი, თვით მერმე შენი დობილი“. (898)

ტარიელმა გამოიცნო ავთანდილის მიერ ნათქვამი მეორე სიცრუე და გამოქვაბულში დაბრუნებაზე დათანხმდა:

„დაჰმორჩილდა, გაემართნეს ავთანდილ და ამირბარი;

ვერ მიგია ქება მათი, ვერა ქება საქებარი:

კბილნი, ვითა მარგალიტნი, ბაგე ვარდი ნაპობარი“,

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.

აქედან მხოლოდ ერთადერთი ლოგიკური დასკვნის გაკეთება შეიძლება — სიცრუემ მოიტანა სიკეთე, სიკვდილისაგან იხსნა ტარიელისა და ასმათის სიცოცხლე. ახლა ვიფიქროთ: რა მოხდებოდა, ავთანდილს რომ მიეტოვებინა ტარიელი და არაბეთში დაბრუნებულიყო: ტარიელი დაიღუპებოდა; ასმათი მარტო დარჩებოდა, მას საკვები გამოელეოდა. იგი ვერ შეძლებდა, მარტო დაეღწია თავი უდაბური ადგილისაგან და ისიც დაიღუპებოდა. ქაჯეთის ციხეში გამოკეტილი ნესტანი უარს იტყოდა როსანთან ქორწინებაზე და თავს მოიკლავდა. ინდოეთი ხატაელთა მონობის ქვეშ მოექცეოდა.

მეორე ლოგიკური დასკვნაც უნდა გაკეთდეს: რაც ავთანდილმა ვერ შეძლო სიბრძნით მიეღწია, მიაღწია სიცრუის გამოყენებით. მაშასადამე, ზნეობრივი ნორმების ფარდობითობა რუსთველის მიერ კონკრეტული ფაქტებით არის დადასტურებული.

ახლა დავსვათ კითხვა: ბოროტება თუ არის აბსოლუტური? პასუხი უარყოფითია. თურმე ყველაზე დიდ ბოროტებასაც შეუძლია გარკვეულ პირობებში მოიტანოს სიკეთე. ამის დასადასტურებლად გადავხედოთ დღევანდელ მსოფლიოს. დღეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ბოროტება ატომური და წყალბადის ბომბებია. მიუხედავად ამისა,, ეს მასობრივი მოსპობის იარაღები ჯერჯერობით გამორიცხავს მესამე მსოფლიო ომის შესაძლებლობას, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ბირთვულ მსოფლიო ომს გამარჯვებული არ ეყოლება, ვინაიდან ატომური ომი არა მარტო ადამიანებს გაანადგურებს, არამედ ყველა ცოცხალ არსებას მოსპობს დედამიწაზე. დავუკვირდეთ ისტორიულ ფაქტებს: პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა 1918 წელს, ოცი წლის შემდეგ — 1938 წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც დამთავრდა 1945 წელს, აქედან დღემდე 59 წელი და 8 თვეა გასული და მსოფლიო ომზე ყველაზე რეაქციული ძალებიც კი არ ფიქრობენ, რადგან ეს იქნება კაცობრიობის თვითმკვლელობა.

რაც შეეხება სიკეთეს — არის თუ არა იგი აბსოლუტური, ამაზე შემდეგ გვექნება საუბარი. მეორე მსოფლიო ომი, რომელიც გერმანელმა ფაშისტებმა წამოიწყეს, დიდი ბოროტება იყო, რომელმაც 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის 300 ათასი ქართველის. ერთადერთი დადებითი, რაც ამ ომს მოჰყვა, ფაშისტების, როგორც დამნაშავეების, გასამართლება იყო. ფაშიზმი დაგმობილ იქნა, დამნაშავენი - დასჯილნი.

(გაგრძელება იქნება)

პროფესიული კოლეჯი "ჰორიზონტი" აცხადებს მიღებას შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1. **მზარეული**
2. **სტილისტი**
3. **მკერავი**
4. **ელექტრიკოსი**
5. **სავალი ნაწილის ტექნიკოსი**
6. **ტრაქტორისტი**
7. **ბუღალტერი**
8. **გიდი**

სწავლა უფასოა!

სწავლის მსურველს უნდა ქონდეს მინიმუმ საბაზო(9 კლასი) განათლება.

რეგისტრაცია იწყება **10 თებერვლიდან და გრძელდება 5 მარტამდე.**
იჩქარეთ! ადგილები შეზღუდულია.
დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ
დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: **577 16 22 85; 577 16 22 87;**
ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: **ოზურგეთი, რუსთაველის №8.**

გახსენება

ნატო ქართველიშვილი

7 თებერვალი შენი დაბადების დღეა, 55 წლის გახდებოდი. სამი წელია შენს გარეშე ვხვდებით შენს დაბადების დღეს. შენი ცხოვრება მედიცინას დაუკავშირე პატარა პაციენტებზე მზრუნველი საკუთარ ჯანმრთელობაზე ნაკლებად ზრუნავდი. ავადსახსენებელმა სენმა უდროო დროს შემოგიტია და დაგამარცხა. მაგრამ შენი სიცოცხლე გრძელდება შენს შვილებში, რომლებიც ცხოვრების ახალ საფეხურს შეუდგნენ. პაატამ აასრულა შენი ოცნება და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია, ანიც სტუდენტობისათვის ემზადება. რაოდენ დასანანია რომ მათთვის ასეთ მნიშვნელოვან დროს მათ გვერდით აღარა ხარ.

გულისტკივილით, ცრემლიანი მონატრებით გიგონებთ, იშვიათია შენნაირი თბილი ადამიანი, მოსიყვარულე მეუღლე, დედა, შვილი და და. მშვიდად იძინე ჩვენო საყვარელო, ვლოცულობთ შენი ლამაზი სულისათვის, ზენაარს ვთხოვთ სასუფეველი დაგიმკვიდროს.

შენი ოჯახი

სკანვორდი



ფინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ოსკარ უაილდი; საკონცენტრაციო ბანაკი – ოსვენციმი; მდინარე პარიზში – სენა; ჩიკორი – ტანაჯორი; კავშირი – და; ქალთა საზოგადოება – მარაქა; იგრეკის საპირისპირო – იქსი; ძვირფასი ქვა – ქარვა; მოსამართლე – ყადი; შეძახილი – არიქა; სიბრძნის ქალღმერთი – ათენა; მოგება ნარდში – მარსი; თვე – აპრილი; ჰაერის გადაადგილება ატმოსფეროში – ქარი; პოტენციალის ასამაღლებელი პრეპარატი – ვიაგრა; უტვინო – ჩერჩეტი; მდინარე საქართველოში – იორი; ხის ნაწილი – მორი; ჰიდროელექტროსადგური თბილისთან – ზაჰესი; ქალაქი თურქეთში – ტრაპიზონი; ძროხის ნაშიერი – ხბო; წნევის საზომი ხელსაწყო – მანომეტრი; ფანდი – ოინი; სუბტროპიკული მცენარე – ჩაი; კრიმანჭული – იოდლი; საანგარიშგებო შეტყობინება – ავიზო; მწერალი ... – მიქავა; ნადირთა მწყემსი – ოჩოპინტრე; მაშველი სიგნალი – სოს; პროდუქციის გადასატანი სათავსო – ტარა; ორჯერ ერთი – ორი; მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი – კორპუსი; ქალის უკრაინული ქვედატანი – დერგა; თბილისელი სომეხი რევოლუციონერი – კამო; გემების ერთობლივობა – რეგატა; უბანი თბილისში – ისანი; მეცნიერება – ისტორია; დურგალი – უსტა; ღვაწლი – ამაგი; კარგი ამინდი – დარი; ხელმძღვანელი – ატამანი;

ვერცხლის მოყვარე ფირალი დათულია

ენვერ გოგუაძე

დასაწყისი იხ. ალიონი №5, 2015 წელი.

სტარშინას შესანახი ფული ნაწილობრივ აზნაურებსაც უნდა გადაეხადა. ამან კიდევ უფრო ძნელი გახადა სოფლისათვის დათულიეს მფარველობაში აყვანა„ფულიან სტარშინას“ „ფულიანი ეგზეკუცია“ მოჰყვა. ეგზეკუცია განსაკუთრებით ძვირი უჯდებოდა ვიდრე „ხელფასიანი მამასახლისი“, მაგრამ ორთავეს-მამასახლისსა და ეკზეკუციას მაინც დათულია და მისი გუნდი სჭარბობდა ხარჯის თვალსაზრისით. დათულიამ საარაკოდ გაიბრძოლა. ხალხს რომ არ „მოსწყვეტოდა“ სავსებით,ეკზეკუცუიას გაუმართა უთანასწორო ბრძოლა. ერთხანს აჯობა კიდეც სტრაჟებსა და ყაზახ-რუსებს, მაგრამ სანამდე უნდა გაგრძელებულიყო ესოდენ მცირედი ომი მრავალთან. ფირალ მიქელაიშვილის აღსასრული გარდაუვალი იყო. სალუქვაძე, ამაღლობელი და სურგულაძე მოულოდნელად თავს დაეცნენ მელექედურში ჩაყენებულ ყაზახ-რუსებს. ერთი ყაზახი მოკლეს და ერთიც სასიკვდილოდ დასჭრეს. გაკვირდნენ ყაზახ-რუსები ფირალთ მიერ გამართულ ამგვარი ფიცხელი ბრძოლისგან. ზარდაცემულმა ყაზახებმა სოფელში დარჩენას სოფლიდან წასვლა ამჯობინეს, მაგრამ ყაზახ-რუსთა ერთ გუნდს მალე მეორე შეცვლიდა, დათულიას ამოსაგდებად და დასამწებლად. დათულიას გაბრძოლების შესახებ „ივერია“ წერდა: „ოზურგეთი: კვირას 31 მაისს ყაჩაღებმა ხელახლა მოგვაგონეს თავი. სოფელ მელექედურს მოკლეს ერთი ყაზახ-რუსი და ორიც დაჭრეს და ტყესა და ღრეს მისცეს თავი. ყაზახები დიდი ხანი იდგნენ ამ სოფელში ყაჩაღთა წინააღმდეგ სამოქმედოდ, მაგრამ როგორც ვხედავთ ამ განკარგულებამ ვერ მოიტანა სასურველი ნაყოფი“. .პოლიციამ მორიგი ნაბიჯი გადადგა დათულიას მოსახელთებლად. შვილი რომ ვერ შეიპყრო სანაცვლოდ მამას გადასწვდა და როსტომ მიქელაიშვილი გამოჰკეტა ოზურგეთის ციხეში. ხოლო ადრე დაპატიმრებული დათულიას ძმა ნესტორ მიქელაიშვილი „შორეულში გადაასახლა“ არც სახლში აყენებდნენ და არც კარში დათულიას. არც ტყეში და არც მეზობლებში. საგანგებო წესით შექმნეს დათულიას წინააღმდეგ მებრძოლი დამატებითი რაზმი. მასში ყოველგვარი ჯურის ავანტიურისტი გაერთიანდა. ჩინ-მედლებისა და ფულადი ჯილდოს გულისათვის მშობელ მამას რომ არ დაინდობდნენ, თუმცა დათულიას „ყურშუმის ტყვია“ მაინც ძილს უფრთხობდათ. რაზმი 40 კაცს მოითვლიდა. რაზმის შექმნის ინიციატორი ოზურგეთის ბოქაულ ფიცხელაურთან ერთად დათულიას მიერ განაწამები და მრავალგზის ნაძარცვი „მაღალი წოდების წარმომადგენლები, ვაჭრები და სოფლის „ხელფასიანი მამასახლისები“ იყვნენ. ხარჯი და დაფინანსება მათი იყო. ფირალთა ლიკვიდაციის სავარაუდო დრო სამი თვე დაწესდა. სურგულაძის, სალუქვაძისა და ამაღლობელის სისხლი თითოეულისა 700 მანეთად იქნა შეფასებული. თუ რომელიმე მათგანი საგანგებო რაზმის წევრი ფირალთა ტყვიით დაიჭრებოდა, იგი დაზღვევის თანხად 300 მანეთს მიიღებდა. გარდაცვალების შემთხვევაში თანხას მათი ოჯახი ისაკუთრებდა. რაზმის უფროსად „ფირალთა საქმის მცოდნე“ ჯიმნაილ ყიფიანი იქნა გამოყოფილი, რომელიც შემდგომ მისივე რაზმის წევრებმა იმსხვერპლეს. დათულია და მისი გუნდი გაერიდა მელექედურს. გაერიდა ჯიბრაილ ყიფიანის საგანგებო რაზმს და სათარეშოდ ისევ იმერეთში გადავიდა. სათანადო მსხვერპლიც დაგულვებული ჰყავდა. ერთი მეტად შეძლებული და ფულიანი ვაჭარი.შუა ღამით დაესხა თავს. 7 გავადნილი ახლდა, ვაჭარი მადლობელი დაურჩა ცოცხალი რომ დატოვა. დათულიას მიერ იმერელი ვაჭრისათვის წართმეული თანხის კონკრეტული რაოდენობა უცნობია. იგი 2000 მანეთზე ნაკლები რაოდენობით არ უნდა განისაზღვრებოდეს. შვიდი გავარდნილი მცირეოდენ თანხაზე ესოდენ სარისკო ოპერაციას არ დაგეგმავდნენ. მთავრობის არცერთმა ღონისძიებამ არ გასჭრა დათულია მიქალაიშვილის მისამართით. ფირალი აბუჩად იგდებდა ოზურგეთის „ზემსკაია სტრაჟას“, ჯიბრაილ ყიფიანის საგანგებო რაზმსა და ყაზახ-რუსებს. იგი აშკარა დუელს უნიშნავს ხელისუფლებას და საოცარი გულმოდგინებით ახრეხებს კაპიტალის პირველ დაგროვებას, რისთვისაც არ ერიდება არავითარ მეთოდსა და საშუალებას. დათულია მიქელაიშვილის „ტყის ძმებად“ ითვლებოდნენ გარდა სალუქვაძისა და ამაღლობელისა, იასონ შავიშვილი და ვლადიმერ ჟღენტი, რომლის საფირალო სტაჟი ისევე როგორც საკუთრივ დათულიასი, სისონა დარჩიას „თარეშის ეპოქიდან“ იღებს სათავეს. ვლადიმერ ჟღენტი შემდგომში დათულიას თაობაზე „ქუთაისის ნაობახტში“ მყოფი გურიის თავადაზნაურთა მარშალმა, სვიმონ გუგუნავამ შეარიგა ხელისუფლებას. 1893წელს მშვიდობიანად გასრულდა მისი ფირალობა „ივერიის“ ცნობით: ვლადიმერ ჟღენტი და იასონ შავიშვილი, როგორც მიქელაიშვილის თანამზრახველები, ოზურგეთის ციხეში ყოფილან გამომწყვდეულნი და 1833 წლის 31 იანვარს გასხლტომიან სტრაჟებს კაზამეტიდან. გურიაში გზაკვალ შეკრული დათულია ხშირად ისევ იმერეთში თარეშობს. თანამზრახველად „სამნი ძმანი კეკელიძეები“ ჰყავს. კეკელიძეები სიმარდითა და გამზიდაობით ბევრად ჩამოუარდებოდნენ მიქელაიშვილს. ადმინისტრაციამ ადვილად აიღო სამთავეს კვალი და კეკელიძეები ქუთაისის ციხეში გამამწყვდია. დათულიას ყველგან შემოეცალა თანამზრახველნი. ახლა იგი იძულებული გახდა ნაძარცვით სავსე ყულაბა მოეხსნა და კეკელიძეთა მოსამართლენი მოექრთამა. მოწმეები ქრთამითა და მუქარით ცრუ ჩვენებაზე დაიყოლიეს. მათ „ყველაფერი კი უნდა ელაპარაკათ კეკელიძეებზე“. მათ ნალაპარაკევს თავად ისმენდა გურული ფირალი „სუდში“ ანაფორით მოსილ ხუცესივით მოსული, დათულიეს ხელით დაზაფრულმა მოწმეებმა დანაპირებზე უარი ვეღარ განაცხადეს, მაგრამ კეკელიძეებს მაინც ვერაფერმა უშველა. „ტყის შეტაკებებში“ სტრაჟნიკებთან ყოველთვის გამარჯვებული დათულია მიქელაიშვილი ქუთაისის „სუდში“ დამარცხდა. აღიარებული მძარცველი იყო, მაგრამ მოხერხება და ნიჭიც შესაფერისი გააჩნდა. „კეკელიძეების გულიზა“ მრავალ საფათერაკო საქმეს მოჰკიდა ხელი. ქუთაისის გუბერნატორთან შესვლა გადაწყვიტა ყაჩაღთა განთავისუფლების „წყალობის“ სათხოვნელად. აქაც ჩვეულ ხერხს მიმართა. ანაფორა გადაიცვა. ზესტაფონში მის მიერ დაყაჩაღებულ მღვდელს დაემსგავსა იერსახით. ღვთისმოსავის ნიღაბი აიფარა და ისე გამოეცხადა გუბერნატორს. ერთ საათს ესაუბრა „ძმების შეწყალებაზე“ , ბოდიშობდა“ გუბერნატორი „ხალხი აკლებული ჰყავთ და მაგათი შეწყალება შეუძლებელია. თავგამოდებული, მაგრამ ხელმოცარული ისევ გურიაში დაბრუნდა. მისი საბუდარი აქ იყო და უკეთეს ადგილს სხვაგან სად გამოძებნიდა. ახალგაზრდა იყო. „სისონა დარჩიას კბილა“, 25 წლის გავარდა ფირალად. 8-9 წელი ითარეშა. 31 წლის აღესრულა. მელექედურს მოაშურა. ფირალთა გუნდი ახლდა. გზაზე ნაცვალს გადაეყარა. ჯაშუშობდა დათულიას. ნაცვალს საცვალი გახადეს „ნახევარ კედაროს“ ყველაფერი გადაპარსეს: „თმა, წვერი, ულვაში და ისე გაუშვეს შარაზე.მელექედურიდან ოზურგეთის გზას გაუყენა. ბოქაულ ვაშალომიძის ამოგდება სურდა და გზად გადაეყარა კიდეც, ვაშალომიძემ სატევარზე გაიკრა ხელი, დათულიამ მოასწრო და ბერდენის ტყვიით ორივე ხელი გაუშეშა მაჯაში.



ჯასუღ ადეშქელიანი

(გაგრძელება იქნება)

სპორტი

ოზურგეთელი მოფარიკავეების კიდევ ერთი წარმატება

1 თებერვალს ქალაქ თბილისში, ნუგზარ ასათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზში ჩატარდა საქართველოს პირველობა კადეტთა შორის (1998 წელს დაბადებულები და უმცროსები).

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ თბილისელი, ქუთაისელი, რუსთაველი და ოზურგეთელი (სამი სპორტსმენი) დაშნით მოფარიკავეები.

ოზურგეთელმა გელა მჟავიამ მეტად დაძაბულ ფინალურ ორთაბრძოლაში დაამარცხა ქუთაისელი დვალიშვილი; მესამე იყო გ. კვაჭაძე, მეხუთე კი – 25 იანვარს ჩატარებული ქუთაისის ტურნირის გამარჯვებული ლუკა მეგრელიშვილი. ოზურგეთელმა სპორტსმენებმა სპეციალისტების მოწონება დაიმსახურეს.



მალხაზ კვაჭაძე,
მწვრთნელი

საჩუქრად „მინი რაიდერი“

ალიონი. საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ ძირითადმა სასპორტო ბაზამ – ოზურგეთის ცენტრალურმა სტადიონმა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან საჩუქრად „მინი რაიდერი“– მწვანე საფარის სპეციალური საკრეჭი მანქანა მიიღო. როგორც „ალიონს“ აცნობეს, მარტის ბოლოსთვის განახლდება ტრიბუნები, 5000 სკამს „მერცხალს“ სამინისტრო გადასცემს.

საქართველოს ახალგაზრდული პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

ალიონი. 60 კგ წონითი კატეგორია – 1 ადგილი – ლევან ქაჯაია, მწვრთნელი ა. ბოლქვაძე, ლიხაური;

60 კგ წონითი კატეგორია – მე-3 ადგილი - თემურ კვაჭაძე, მწვრთნელი ა. ბოლქვაძე, ლიხაური;

50 კგ წონითი კატეგორია – მე-2 ადგილი - შოთა ღლონტი, მწვრთნელი გ. მაჭარაშვილი;

66 კგ წონითი კატეგორია – მე-2 ადგილი - გიორგი ჩხარტიშვილი, მწვრთნელი გ. მაჭარაშვილი;

96 კგ წონითი კატეგორია – მე-3 ადგილი - გოგა ვაჩნაძე, მწვრთნელი გ. მაჭარაშვილი;

55 კგ წონითი კატეგორია – მე-2 ადგილი - დათო ჩხარტიშვილი, მწვრთნელები ზურაბიანები;

60 კგ წონითი კატეგორია – მე-2 ადგილი - ოური ლომაძე, მწვრთნელები ზურაბიანები;

86 კგ წონითი კატეგორია – მე-3 ადგილი - ალექსი ლოდია, მწვრთნელი თ. მუჯირი;

20-23 წლამდე ასაკში;

71 კგ წონითი კატეგორია – მე-2 ადგილი - გიორგი ჯაში, მწვრთნელი გ. მაჭარაშვილი;

130 კგ წონითი კატეგორია – მე-2 ადგილი - სამუკა დარჩია, მწვრთნელი ა. ბოლქვაძე, ლიხაური;

მერცხალს“ ათუაშვილი და კაშია გაწვრთნიან

ქალაქ ოზურგეთის მერმა, ბეგი სიორიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ, გელა კობალაძემ საფეხბურთო კლუბ „მერცხალის” ფეხბურთელებს ახალი მწვრთნელები წარუდგინეს. ამიერიდან გუნდს კაკო ათუაშვილი და შუქრი კაშია გაწვრთნიან.

მერი ფეხბურთელებს მომავალი რეორგანიზაციის შესახებაც ესაუბრა. უახლოეს მომავალში საფეხბურთო კლუბ ‘’მერცხალის’’ და ოზურგეთის ცენტრალური სტადიონის ერთ არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირად გარდაქმნის პროცესი დაიწყება. ახალი ა.ა.ი.პ. ხელმძღვანელი სტადიონის ამჟამინდელი დირექტორი, მამუკა გოგუაძე იქნება.

„ახალი ა.ა.ი.პ.- ის ჩამოყალიბება ამ ორი რგოლის ფუნქციონირებას უფრო მოქნილს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის. ამიერიდან გვავთ ახალი მწვრთნელებიც. მათთან ერთად თქვენი წარმატების იმედი გვაქვს. მთავარი შრომა და შედეგისთვის ბრძოლაა. ქალაქის მერია თქვენს გვერდითაა და ვცდილობთ, შესაძლებლობების ფარგლებში, ყველა სახის დახმარება გაგიწიოთ, ვგეგმავთ, საპრემიო სისტემის დანერგვასაც. რაც თქვენს მოტივაციას კიდევ უფრო გაზრდის” - აღნიშნა ქალაქის მერმა ფეხბურთელებთან საუბრისას.

სპორტსმენებთან შეხვედრის შემდეგ ბეგი სიორიძემ სტადიონი, მიმდებარე ტერიტორია და ადმინისტრაციული შენობა მოინახულა და აქაურ ხელმძღვანელობას სამომავლო გეგმებსა და პროექტებზე ესაუბრა.

გამოფენა კონკურსი „ზამთრის ვერნისაჟი“

29 იანვარს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი - სურათების გალერეის ეგიდით შედგა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა - კონკურსი „ზამთრის ვერნისაჟი“.

კონკურსი მოიცავდა ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის სამხატვრო სკოლების მოსწავლეთა შემოქმედების წარმოჩენას. საჯარო სკოლებიდან კი მხოლოდ ქალაქ ოზურგეთის სკოლები მონაწილეობდა.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, გალერეამ სპეციალური ჟიურის მეშვეობით (ლია ურუშაძე - კომისიის თავმჯდომარე, ნატალია ხომერიკი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსი, თინათინ ჟღენტი - კულტურის ფონდის წარმომადგენელი, გია გვიჩია - თეატრის მხატვარი, ოთარ ჩხარტიშვილი - მხატვარი, გურიის რეგიონის მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი) გამოავლინა გამარჯვებულები 11 ნომინაციაში:

ნომინაციები სამხატვრო სკოლის მოსწავლეთათვის:

1. **საუკეთესო ფერწერა - ნანა ბურჭულაძე, ოზურგეთი;**



2. **საუკეთესო ნამუშევარი - შაკო ჩავლეშვილი - ოზურგეთი;**
3. **საუკეთესო კომპოზიცია - ნინო ჯორბენაძე - ლანჩხუთი;**
4. **საუკეთესო თემა - გიორგი კონტრიძე - ოზურგეთი;**
5. **საუკეთესო იდეა - ელენე ნიკოლაიშვილი - ოზურგეთი;**
6. **საუკეთესო დეკორაცია - ალეკო ჩანტლაძე - ჩოხატაური;**

ნომინაციები საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის:

1. **საუკეთესო კომპოზიცია - მარიამ ყალიჩავა- სოფ. მერიის საჯარო სკოლა;**
2. **ნორჩი შემომქმედი - ალეკო ისაბაშვილი - ოზურგეთის მე- 4 საჯარო სკოლა**
3. **საუკეთესო ხელნაკეთობა - გიორგი მეგრელიძე - ოზურგეთის №1 საჯარო სკოლა;**
4. **საუკეთესო ფერწერა - ეკა ხომერიკი - ოზურგეთის №3 საჯარო სკოლა;**
5. **საუკეთესო დეკორაცია - ლიზი მახარაძე - წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა;**

გალერეის რჩეული - ვერიკო ქერქაძე - ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა;

კულტურის ფონდის რჩეული „ნიჭიერი“ - უჩა ბარამიძე - ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა;

საზოგადოება „სანთელის“ რჩეული - ქეთევან გიორგაძე - ოზურგეთის სამხატვრო სკოლა;

ქალაქ ოზურგეთის მერიის რჩეული - ნინო ჩხაიძე - ოზურგეთის სამხატვრო სკოლა;

ს.ს „იმედი“ - ს რჩეული - ლიზი ელისაბედ ბიბინეიშვილი - ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა;

კოსმეტიკური ფირმა „ფაბერლიკი“ - ს რჩეული -

1. გიორგი მეგრელიძე - ოზურგეთის №1 საჯარო სკოლა;
2. ნუცა ღლონტი - ოზურგეთის სამხატვრო სკოლა;

ფარმაცევტული ფირმა „ავერსი-გეოფარმა“ - რჩეული - ეკატერინე ხომერიკი - ოზურგეთის №3 საჯარო სკოლა;

შპს „მოდერნი2009“ რჩეული - საბა ევგენიძე - ოზურგეთის სამხატვრო სკოლა;

ოზურგეთის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობის რჩეული

1. **მარიამ მკურნალიძე - სოფ. ზემო ნატანების საჯარო სკოლა;**
2. **ნინო გულხადარაშვილი - სოფ. მაკვანეთის საჯარო სკოლა;**
3. **მიხეილ თავბერიძე - სოფ. ვაკიჯვრის საჯარო სკოლა;**

ოზურგეთის რაიონის საკრებულოს რჩეული - **მარო ქორჩილავა - სოფ. ქვედა ბახვის საჯარო სკოლა;**

გამოფენაზე ნორჩი მხატვრების შემოქმედებას გაეცნენ სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისულების თავკაცები სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულ მხატვრებს მათ გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

ფრანგები აშშ-ში პრემიალურ ავტომობილებს გაყიდიან

სამხრეთ ამერიკის ბაზარზე გასვლის შესახებ მარკა DS-მა განაცხადა

კომპანია Citroen-ი გეგმავს DS -ის მარკის ავტომობილები აშშ-ს ბაზარზე გაიტანოს. ასეთი გეგმა გაანმოვანა DS-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ბონფონმა გამომცემლობა Automobile newს-თან ინტერვიუში.

„ჯგუფმავთ ორგანიზება გავუკეთოთ 200-მდე სადილერო ცენტრს მთელ მსოფლიოში, მათგან 30 ჩრდილოეთ ამერიკაშია. სირცხვილი იყო გაგვეშვა გლობალური პრემიუმ-ბენდი და არ დაგვეძრა ის ჩრდილოეთ ამერიკისკენ“ — განაცხადა ბონფონმა.

ტომ-მენეჯერმა არ თქვა, როდის გამოჩნდება აშშ-ში DS-ის მარკა. ცნობილია მხოლოდ, რომ ფრანგული კომპანია გეგმავს DS-ის ბრენდი განთავსოს განსაკუთრებულ ადგილას. „თუ თქვენ თვალს ადევნებთ ავტოინდუსტრიას, დაინახავთ, რომ ბაზრის პრემიალურ სეგმენტზე მოდის მსოფლიო გაყიდვები 10-დან 15 პროცენტამდე. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში DS-ის ბრენდმა უნდა დიკავოს PSA ჯგუფის გაყიდვების 10-დან 15 პროცენტამდე. ეს დასლოებით შეესაბამება AUDI-ის წილს Volkswagen groum-ის ჩარჩოში, — დაზუსტა ბონფონმა.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად დს-ის სამოდელო რიგებშია DS3, DS4 და DS5, ასევე ყველგანმავალი DS6 და სედანი DS 5 LS, რომელიც იყიდება მხოლოდ ჩინეთში. შ-სის სამოდელო რიგი შემდგომში შეივსება ყველგანმავალით, რომელიც AUDI 5-ს კონკურენტი გახდება.

ახალი Kia sportage შენიშნეს ტესტირების დროს

გამოქვეყნებულია ახალი თაობის ყველგანმავალის ფოტოგრაფიები

მისაწვდომი გახდა ახალი თაობის Kia sportage-ს გამოსახულება. ავტომობილი დამცავი მოწყობილობით შეამჩნიეს ევროპაში, ზამთრის გამოცდების დროს. ამის შესახებ იუწყება Carscoops-ი.

რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, Kia sportage-ს დიზაინი განიცდის ევოლუციურ ცვლილებებს. კერძოდ, ჩვენ გველოდება უფრო რბილი ფორმები, ახალი ოპტიკა, აგრეთვე რადიატორის ოდნავ სხვანაირი გისოსი, რომელიც იცავს საფირმო „ვეფხვის ღიმილს“. ახალი ფორმის sportage ყველაზე მეტად ჰგავს გაზრდილი ზომის ყველგანმავალ kia kX3-ს, რომელიც შეიქმნა სპეციალურად ჩინეთის ბაზრისთვის.

Kia sportage-ს ინტერიერში ჩვენ გველოდება ახალი წინა პანელი სასიამოვნო მასალით, მათ შორის ტყავით.

ავტომობილი გამოვა ბენზინისა და დიზელის ძრავებით, მოცულობა 1,6-დან 2,0 ლიტრამდე. ახალი Kia sportage-spremieri შესაძლო ადგილის შესახებ არაფერს იტყობინებიან.

7 დღის ამინდის პროგნოზი

9 თებერვალი ორშაბათი	10 თებერვალი სამშაბათი	11 თებერვალი ოთხშაბათი	12 თებერვალი ხუთშაბათი	13 თებერვალი პარასკევი	14 თებერვალი შაბათი	15 თებერვალი კვირა
ღრუბელი +3+8	მზე, ღრუბელი +8+15	ღრუბელი +8+16	წვიმა +5+8	თოვლი +3+7	მზე, +5+11	ღრუბელი +2+10